საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 10865/01
17/11/2020

10865-01-2-202011171743

შპს „მშენებელი 2020“-ის დირექტორს
ბატონ ლაშა ბარამიას
მის: ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქ., N 161

ბატონო ლაშა,

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 9 ნოემბრის N17457 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფელში, შპს „მშენებელი 2020“-ის სასარგებლო წიაღისეულის (სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) გადამუშავების პროექტს და გაცნობებთ შემდეგს:

- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის GPS კოორდინატები არ ემთხვევა საკადასტრო კოდით (43.11.42.264) და Shp ფაილებით იდენტიფიცირებულ საპროექტო ტერიტორიას, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- სამინისტროს მიერ აღნიშნულ საქმიანობაზე გაცემულ სკრინინგის გადაწყვეტილებაში (ბრძანება N2-746) მითითებულია: ,,მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 285 მეტრში მდებარეობს უახლოესი დასახლებული პუნქტი, ხოლო საწარმოდან 53 მეტრში განთავსებულია შენობა-ნაგებობა”, რასთან დაკავშირებითაც სკოპინგის ანგარიშში ვკითხულობთ: „აღნიშნული შენობები აქამდე წარმოადგენდა არა საცხოვრებელ, არამედ, ცხოველთათვის განკუთვნილ ფერმებს. ამ ეტაპზე აღნიშნული ნაგებობების ადგილას მიმდინარეობს ავტოსადგომების მოწყობა სხვა კომპანიის მიერ“. ხოლო, უახლოეს მოსახლემდე მანძილთან დაკავშირებით, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 600 მეტრით. თუმცა, მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი წერილით და ასევე ჩვენ მიერ მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება რომ უახლოეს მოსახლემდე მანძილი გაცილებით ნაკლებია (ტერიტორიიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 280 მეტრი, ხოლო ჩრ. აღმოსავლეთით-380 მეტრი). აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ დაზუსტებული ინფორმაცია უახლოეს მოსახლემდე მანძილის შესახებ (საკადასტრო კოდის მითითებით);
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ტექნოლოგიურ პროცესში (გადამუშავების სველი მეთოდი) გამოსაყენებელი წყლის აღება მოხდება მიწისქვეშა

ლიცენზირებული ჭაბურღილიდან. თუმცა, ანგარიშის მომდევნო აბზაცში (გვ. 9, თავი 2.5) მითითებულია მდ. ჯუმიდან წყალაღების კოორდინატები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს წლის განმავლობაში გამოსაყენებელი წყლის ოდენობა;

- სკოპინგის ანგარიშში (თავი 5.2), ადგილის ალტერნატივების ანალიზში განხილულია მხოლოდ შერჩეული ტერიტორია, მისი უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორები. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის, მესამე პუნქტის შესაბამისად, სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი **საქმიანობის განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ ინფორმაცია**; ასევე სკოპინგის ანგარიში არ მოიცავს ზოგად ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის, კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია უნდა იქნეს ასახული სკოპინგის ანგარიშში;
- სამინისტროში არსებული ინფორმაციით, შპს ,,მშენებელი 2020"-ის კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით სარგებლობაში გადაცემული აქვს შპს ,,ბარა კაპიტალს”, რომლის საქმიანობას წარმოადგენს სასაქონლო ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობების წარმოება. შპს ,,ბარა კაპიტალს” საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2020 წლის 23 სექტემბერს შეთანხმებული აქვს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში. შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას სკოპინგის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული საქმიანობა.

სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „მშენებელი 2020“ კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დაზუსტებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენას, სადაც გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე